მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო გამოცემა, 2022 წელი, №7

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მაიზერ ჯაფარიძის წლიური ანგარიში 2022 წელი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მაიზერ ჯაფარიძის წლიური ანგარიში.

2022 წელი.

ქალბატონებო და ბატონებო.

მოგეხსენებათ, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების, ევროპული ქარტიის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საკრებულო შედგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის შედეგად არჩეული 33 წევრისგან, რომელთაგან 21 წევრი არჩეულია პროპორციული, ხოლო 12 წევრი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

საკრებულოს ბიუროს შემადგენლობაში შედიან საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები (ზაურ ჩართოლანი, ვალოდია ჭკადუა, იგორ რატიანი), საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები.

საკრებულოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას უწევს საკრებულოს აპარატი (უფროსი-ფირუზ ფილფანი), რომელიც შედგება სამი-საოქმო (უფროსი მანონი რატიანი) პრესცენტრის (ირმა ჯაჭვლიანი) და საორგანიზაციო (იამზე ჯაფარიძე) განყოფილებისგან.

მუნიციპალიტეტის საკრებულო, საკითხების წინასწარ მომზადებას, გადაწყვეტილებების შესრულებისათვის ხელის შეწყობას, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლს ახორციელებს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 5 კომისიის მეშვეობით.

ესენია:

1.საპროცედურო საკითხთა კომისია- თავმჯდომარე შორენა ცინდელიანი

2. ურბანული განვითარების კომისია- თამჯდომარე ზაზა ფალიანი

3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-თავმჯდომარე როდამ გვარმიანი.

4. სოციალურ საკითხთა კომისია- მაია ხორგუანი.

5. ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების კომისია-თავმჯდომარე ბაჩუკ ნაკანი.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოქმედებს 3 ფრაქცია:

1. ფრაქცია-„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“- ლაშა პირველი

2. ფრაქცია ,,სვანეთის განვითარებისათვის“ თავმჯდომარე გიორგი დადვანი.

3. ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-თავმჯდომარე დავით გვიჩიანი.

2022 წლის განმავლობაში მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ბიუროს 11 სხდომა. დამტკიცებულია საკრებულოს კომისიების სამუშაო გეგმები.

ჩატარებულია საკრებულოს 11 სხდომა, შედგენილია საკრებულოს სხდომის ოქმები.

საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა 17 დადგენილება და 54 განკარგულება. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოცემულია 46 ბრძანება.

ჩატარებულია საკრებულოს კომისიის შემდეგი სხდომები:

1. საპროცედურო საკითხთა კომისია- ჩატარებულია 8 სხდომა.

2. ურბანული განვითარების კომისია- ჩატარებულია 6 სხდომა.

3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-ჩატარებულია 10 სხდომა.

4. სოციალურ საკითხთა კომისია- ჩატარებულია 6 სხდომა.

5. ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების კომისია, ჩატარებულია 12 სხდომა.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 19, 050, 300 ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია უკვე არსებული ან ახალაშენებული შენობა-ნაგებობების გადასახური მასალით დახმარების პროგრამა. ამ პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს, მუნიციპალიტეტში გადაიხურა 170 შენობა -ნაგებობა.

მოსახლეობის ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება სოციალური დახმარებების პროგრამები- ოპერაციების, მედიკამენტებისა და გამოკვლევების დაფინანსება/თანადაფინანსება, ახალშობილების მატერიალური დახმარება, უსახლკაროებისათვის სახლების მშენებლობა და სხვა.

სრულდება დაბა მესტიის შიდა გზების რეაბილიტაცია (რკინა-ბეტონის საფარის დაგება, გაბიონებისა და კედლების მშენებლობა). 2022 წელს რეაბილიტირდა დაბის 15 ქუჩა, ესენია: ვიტორიო სელას, ჭიჭიკა ჩართოლანის, გულად ჯაფარიძის, ზურაბ ფალიანის, ავთანდილ იოსელიანის, მიხეილ ხერგიანის, აღმაშენებლის, ბექნუ ხერგიანის, მაქსიმე გვარლიანის, ნუგზარ ჯაფარიძის, ჯონდო ხაფთანის ქუჩები, ასევე დავით აღმაშენებლის ჩიხი, გაბლიანის ჩიხი, ფარჯიანის პირველი ჩიხი, ფარჯიანის მეორე ჩიხი და ბეთლემის ჩიხი.

ჩემი ინიციატივით და საკრებულოს მხარდაჭერით მოხდა დაბა მესტიაში თამარ მეფის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია.

სკვერის მოწყობისთვის მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან დაიხარჯა 258 516 ლარი.

სკვერში მოეწყო დეკორატიული ფანტანი, განათებები, სპორტული საბავშვო გასართობი ატრაქციონები და ტრენაჟორების მოედანი, იქვე განთავსდა მოსასვენებელი სკამები და სანაგვე ურნები, სკვერი შემოღობილ იქნა ლითონის კონსტრუქციის ღობით.

ასევე, საკრებულოს ინიციატივით, 29-30 ოქტომბერს, „ვარდისფერი ოქტომბრის“ კამპანიის ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისთვის მესტიის ამბულატორიულ გაერთიანებაში და ჭუბერის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა სარძევე ჯირკვლის კიბოს სკრინინგი და ალერგო-იმუნოლოგიური კვლევები.

კვლევები ჩაატარეს შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებმა.

ორი დღის განმავლობაში ალერგოლოგთან და ონკოლოგ მამოლოგთან კონსულტაცია გაიარა 109 მოქალაქემ. სულ ჩატარდა 179 კვლევა. გამოკვლევებს აორგანიზებდნენ ქართული ოცნების ქალთა ორგანიზაციის წევრები შორენა ცინდელიანი და მაია ხორგუანი. გამოკვლევები ყველა ქალბატონისათვის იყო სრულიად უფასო.

საკრებულოს აქტიური ჩართულობით მოხდა დაბა მესტიაში სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების ფართობების შემოღობვა. სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მოსახლეობისადმი ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტისათვის შეძენილ იქნა სახნავი ტრაქტორები. ეს ერთგვარი მოტივაციაა მოსახლეობისათვის, რათა არავინ დატოვოს მიწები დაუმუშავებელი და შესაბამისად, გაიზარდოს ადგილზე მოყვანილი პროდუქციის წარმოება.

საკრებულო აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე, ასევე დაგეგმვის პროცესში არსებული ყველა ინფრასტრუქტურული თუ სოციალური პროექტების განხორციელებასა და მონიტორინგში.

აღსანიშნავია, რომ მომავალი წლისთვის, ჩემი და ჩემი კოლეგების ინიციატივით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით იგეგმება გამისამართიანების პროექტის განხორციელება, რის შედეგადაც საბოლოოდ მოწესრიგდება სოფლებში მისამართების საკითხი.

მინდა შევეხო რუსეთ–უკრაინის ომს, რომელიც უკვე ათი თვეა მძვინვარებს.

ჩვენ პირველი დღიდანვე სოლიდარობას ვუცხადებთ და დახმარების ხელს ვუწვდით უკრაინელ ხალხს. ჩემი ინიციატივით აქტიურად დავიწყეთ თანხის მოძიება უკრაინის დამეგობრებული მუნიციპალიტეტების დასახმარებლად და უზრუნველვყავით მათთვის ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნა. ჩავერთეთ ასევე საქველმოქმედო მარათონში ,,ჩვენ უკრაინისათვის" როგორც საკრებულოს წევრები, ასევე მერიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელები, თანამშრომლები, მერიის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები და რიგითი მოქალაქეები.

უკრაინის დახმარების მიზნით, ცალკე ბიუჯეტიდანაც გამოიყო 10000 ლარი.

2022 წელს მესტიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მესტიის მუნიციპალიტეტისთვის 1, 564, 000 ლარი გამოიყო. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაემატა ასევე 1, 110, 010 ლარი. თანხა სრულად მოხმარდა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებს და მათ მიერ გამოკვეთილი პრიორიტეტების შესაბამისად დაიხარჯა.

დასახლებების საერთო კრებები მუნიციპალიტეტის 17 ადმინისტრაციული ერთეულის 154 სოფელში ჩატარდა. სოფლის კრებებს, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები.

საკრებულოს გამართულ საქმიანობას და საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებაში ხელშეწყობას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

საკრებულოს აპარატი, რეგლამენტის შესაბამისად, შეუფერხებლად უწევს ორგანიზებას საკრებულოს სხდომებს, ფრაქციებისა და კომისიების მუშაობას. აპარატი 12 თანამშრომლითაა დაკომპლექტებული.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი სრულყოფილად ამუშავებს საკრებულოს სხდომებზე განსახილველ საკითხებს, მოქალაქეების განცხადებებს, საკრებულოში შემოსულ წერილებს როგორც მოსახლეობიდან, ასევე სხვადასხვა ინსტანციებიდან, კომისიის და ფრაქციების დღის წესრიგს და სხვა სახის დოკუმენტაციას.

შემოსული წერილები და კორესპოდენციები აღრიცხულია სათანადო წესის დაცვითა და დროულად არის მიწოდებული ადრესატამდე. 2022 წელს შემოსული წერილების რაოდენობაა 59, გასული წერილების კი- 98. დაცულია ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება. 2021 წლიდან მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ელექტრონული დოკუმენტბრუნვა ხორციელდება, აღნიშნული პროგრამით სარგებლობს აპარატის ყველა თანამშრომელი. საკრებულოს აპარატის თითოეული საჯარო მოხელე პასუხისმგებლობით ეკიდება მათთვის კანონით დადგენილი სამუშაო ფუნქციების შესრულებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხშირად, აპარატის თანამშრომლები, პრესცენტრის ინიციატივით, საკუთარი სახრებით, საჭიროებისამებრ, სოციალურ და ფინანსურ დახმარებას უწევენ მრავალშვილიან სოციალურად დაუცველ ოჯახებს, მოხუცებს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომების, ასევე სხვა მნიშვნელოვანი აქტივობების გაშუქება და საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებამდე ინფორმაციის მიწოდება წარმოებს საკრებულოს სოციალური გვერდის ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო“, ოფიციალური ვებ გვერდის mestia.gov.ge და გაზეთის ,,ლილე“ მეშვეობით.

მინდა მადლობა გადავუხადო დეპუტატებს და აპარატის თანამშრომლებს გაწეული მუშაობის გამო. დარწმუნებული ვარ თითოეული ჩვენგანი მომავალშიც არ დაიშურებს ძალისხმევას ვიზრუნოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარების, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და მათი ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე.

მისასალმებელია ურთიერთთანამშრომლობის მაღალი დონე მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს შორის. მრავალწლიანი გამოცდილება მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ განვაცხადო- ეს ურთიერთობა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. ეს განაპირობებს საერთო მიზნებისა და ვალდებულებების სათანადო დონეზე შესრულებას, რაშიც ხელს გვიწყობს ასევე საქართველოს პარლამენტის წევრების- ვიქტორ ჯაფარიძის, სოზარ სუბარის და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის- თეა წულუკიანის თანადგომა.

ჩემთვის, როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქის, საკრებულოს ნევრისა და საკრებულოს თავმჯდომარისათვის, პრიორიტეტს წარმოადგენდა და წარმოადგენს სამართლიანობა და ადამიანური ღირებულებების პატივისცემა, დიალოგი, სტაბილურობა, ქვეყნის აღმშენებლობა და გაერთიანება.

მინდა მოსახლეობას მივმართო თხოვნით, რომ აქტიურად ჩაერთონ თვითმმართველობის პროცესებში, დაესწრონ სხდომებს, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საკითხისა და პროექტების განხილვაში, ჩაერთონ პროექტების განხორციელების პროცესში. ჩვენ მზად ვართ მივიღოთ ნებისმიერი ობიექტური შენიშვნა და გავითვალისწინოთ თქვენი მოსაზრებები, რადგან მხოლოდ მოსახლეობასთან ერთობლივი მუშაობითაა შესაძლებელი წინსვლა და ღირსეული მომავლის შენება.

მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის 20 წლის იუბილე

მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია, რომელსაც სათავეში მეუფე ილარიონი (ქიტიაშვილი) უდგას, ნოემბერში 20 წლის იუბილეს აღნიშნავს.

ამ დღესთან დაკავშირებით, მესტიის საკათედრო ტაძარში ჩატარდა წირვა, რომელსაც ესწრებოდნენ მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტი მეუფე ილარიონი, მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსი გიორგი, მროველ - ურბნელი მიტროპოლტი იობი, ბოლნელი მიტროპოლიტი ეფრემი, ხობისა და ფოთის მიტროპოლიტი გრიგოლი, ცაგერისა და ქვემო სვანეთის მიტროპოლიტი სტეფანე, სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსი სვიმეონი, მიტროპოლიტი სერაფიმე.

მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიას და მეუფე ილარიონს საიუბილეო თარიღი მიულოცეს საქართველოს პარლამენტის წევრებმა: სოზარ სუბარმა და ვიქტორ ჯაფარიძემ, სამეგრელო ზემო სვანეთის გუბერნატორმა გიორგი გუგუჩიამ, მისმა მოადგილემ ნინო ვიბლიანმა, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა თეა წულუკიანმა, ასევე ადგილობრივი ბიზნესისა და საჯარო სექტორის წარმომადგელებმა.

ეპარქიის დაარსების 20 წლის თავზე, მეუფე ილარიონის ლოცვა -კურთხევითა და ძალისხმევით, სახეზე გვაქვს ორმოცდაათამდე ძველი და ახალი მოქმედი ეკლესია და ათეულობით მშენებარე ტაძარი:

- მესტია, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი-იკურთხა 2009 წლის 30 აგვისტოს, ქტიტორი ემზარ ჯაფარიძე
- სოფელი ლახუშდი, თანღილი, წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის სამონასტრო კომპლექსი, აშენდა 2005 წელს
- სოფელი ჭუბერი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარი, იკურთხა 2007 წლის 27 სექტემბერს.
- სოფელი ჭუბერი, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი, იკურთხა 2007 წელს, ქტიტორი მანანა წულუკიძე.
- სოფელი ლატალი, წმინდა იონა წინასწარმეტყველის სახელობის სამონასტრო კომპლექსი, აშენდა 2008 წელს.
- სოფელი ჯორკვალი, ნათლისღების სახელობის ტაძარი, იკურთხა 2017 წლის 2 ივნისს
- მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის ტაძარი, იკურთხა 2010 წლის 9 სექტემბერს. ქტიტორი მამუკა უჯერაშვილი
- სოფელი იფარი, ღვთისმშობლის ტაძრადმიყვანების სახელობის ტაძარი, იკურთხა 2009 წლის 4 დეკემბერს
- მესტია, წმინდა ნინოს სახელობის ტაძარი, იკურთხა 2003 წლის ნოემბერს.

ქტიტორები ვიქტორ ჯაფარიძე და ოთარ ჩართოლანი

- ხაიში, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, იკურთხა 2009 წელს
- სოფელი მულახი, ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძარი, იკურთხა 2012 წელს. ქტიტორი კონსტანტინე და ვალერი შერვაშიძეები
- ლენჯერი, კაერი, მაცხოვრის სახელობის ეკლესია, იკურთხა 2010 წელს. ქტიტორი ბექა, დავით და ლერი მერლანები
- სოფელი ლუჰა, მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარი, იკურთხა 2011 წლის 3 სექტემბერს, ქტიტორი ავთანდილ წულუკიანი.
- მესტია, წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის დედათა მონასტერი, იკურთხა 2011 წლის 2 აგვისტოს.
- წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მესტიის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია, გაიხსნა 2010 წლის 14 ოქტომბერს.
- სოფელი ნაკრა, ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი, იკურთხა 2012 წლის 7 დეკემბერს, ქტიტორი როინ ცინდელიანი.
- სოფელი უშგული, ღვთისმშობლის (ლამარია) მიძინების სახელობის მამათა მონასტერი, გაიხსნა 2012 წელს.
- სოფელი ლატალი, წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარი, იკურთხა 2006 წლის 11 სექტემბერს.
- მესტია, მაცხოვრის აღდგომის სახელობის საკათედრო ტაძარი, იკურთხა 2013 წლის 1 სექტემბერს, 2018 წელს გაიხსნა დედათა მონასტერი. ქტიტორი ირაკლი გურჩიანი
- სოფელი ეცერი, წმინდა ნინოს სახელობის მშენებარე ეკლესია, ქტიტორი ბადრი პაკელიანი
- სოფელი მულახი, ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი (ტვიბერის უღელტეხილი 2280მ.), იკურთხა 2012 წელს.
- მესტია, ლავლადაში, წმინდა პეტრე და პავლეს სახელობის ეკლესია, იკურთხა 2012 წელს, ქტიტორი კახა ნიგურიანი.
- სოფელი ლენჯერი, მირქმის სახელობის ტაძარი, იკურთხა 2017 წლის 1 ოქტომბერს. ქტიტორები თემურ გოცირიძე და გულია შუკვანი.
-სოფელი ნაკრა, თავრარი, მაცხოვრის შობის სახელობის ტაძარი, იკურთხა 2013 წლის 11 ნოემბერს.
- სოფელი ნაკრა, წმინდა თამარ მეფის სახელობის ტაძარი, იკურთხა 2015 წლის 30 აგვისტოს, სამონასტრო კომპლექსი გაიხსნა 2020 წლის 5 ივნისი.
- სოფელი ეცერი, წმინდა დავით გარეჯელის სახელობის ტაძარი, იკურთხა 2015 წლის 4 აგვისტოს, ქტიტორი შალვა გურჩიანი.
- სოფელი იდლიანი, წმინდა დავით და კონსტანტინეს სახელობის ეკლესია, იკურთხა 2015 წელს.
- სოფელი ლატალი, ასიათასი მოწამის სახელობის ტაძარი, იკურთხა 2017 წლის 22 ივლისს. ქტიტორი როსტომ გირგვლიანი.
- სოფელი მულახი, არცხელი, წმინდა პეტრე და პავლეს სახელობის ტაძარი, იკურთხა 2018 წლის 12 ივლისს
- სოფელი უშგული, ზაგარო, 13 ასურელი მამის სახელობის ტაძარი (2642მ), იკურთხა 2017 წლის 28 აგვისტოს. ქტიტორი ირაკლი გურჩიანი და უშგულის მოსახლეობა
- სოფელი წვირმი, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი, იკურთხა 2018 წლის 5 აგვისტოს. ქტიტორი იაკობ გიგლემიანი
- სოფელი წვირმი, ივერიის ყოვლადწინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი
-სოფელი წვირმი, ხარების სახელობის ტაძარი, იკურთხა 2018 წლის 1 სექტემბერს, ქტიტორი იაკობ გიგლემიანი.
- მესტია, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, იკურთხა 2021 წლის 6 მაისს, ქტიტორი ანზორ გვარლიანი
- მესტია, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი.
-სოფელი ლახამულა, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია , იკურთხა 2012 წელს
- სოფელი ლატალი. წეფელი. წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, იკურთხა 2020 წლის 18 ოქტომბერს
- სოფელი ეცერი, ცალანარი, წმინდა გიორგის სახელობის მშენებარე ეკლესია. ქტიტორი მაიზერ ცალანი.
- მესტიის საეპისკოპოსო რეზიდენცია.
- სოფელი დიზი, წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარი, იკურთხა 2020 წელს
- სოფელი იფარი, მიმდინარეობს სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა
- სოფელი ბეჩო, მიმდინარეობს სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა.
- სოფელი ჭუბერი, წმინდა გიორგის სახელობის მშენებარე ეკლესია.
- სოფელი მულახი, მიმდინარეობს სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა
- მესტია, კახრი, ექვსიათასი გარეჯელი ბერის სახელობის მშენებარე ეკლესია, ქტიტორი დავით ნაკანი
- სოფელი ლატალი, კვანჭიანარი, წმინდა მთავარანგალოზ მიქაელის სახელობის ეკლესია.
- სოფელი ლატალი. ლელბაგი, მაცხოვრის სახელობის მშენებარე ეკლესია.
- სოფელი ლატალი, ნამყვანი, წმინდა გიორგის სახელობის მშენებარე ეკლესია.
- სოფელი მულახი, მაცხოვრის სახელობის მშენებარე ეკლესია.
- სოფელი დიზი, ჯვართამაღლების სახელობის მშენებარე ეკლესია.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო მადლობას უხდის მეუფე ილარიონს ჩვენს მუნიციპალიტეტში განვლილი რთული, მაგრამ ნაყოფიერი წლებისათვის - ეპარქიის გაძლიერებისთვის და უსურვებს ხანგრძლივ მოღვაწეობას, ჯანმრთელობას და ყოველივე სიკეთეს.

ღირსეული მამულიშვილი

გაზეთში გამოსაქვეყნებელ მასალებს შორის მონიშნული გვქონდა და ვგეგმავდით ინფორმაციის გამოქვეყნებას ბატონ კობა გიგლემიანის ქველმოქმედების შესახებ.

წინა დღეს წვირმელი პედაგოგის, ქალბატონ სოფიო ქუხილავასგან მივიღეთ წერილი სწორედ ამ თემაზე, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას და წერილს უცვლელად გთავაზობთ :

არსებობენ ადამიანები, ვისთვისაც უანგარო სიკეთის კეთება ცხოვრების წესია. ბედნიერებაა ასეთი ადამიანების არსებობა ჩვენს გვერდით. როგორც ამბობენ სიკეთის საკეთებლად სურვილიც კმარა.

დღეს, ასე გამორჩეულად კეთილ ადამიანზე გიამბობთ, რომელმაც ჩვენი სოფლის ერთი ჩვეულებრივი ცხოვრება ააჟრიამულა, ახალი სიცოცხლე შთაბერა და ადამიანები სიხარულით აავსო, სოფელი კი მადლით.

ოდნავადაც არ ვაჭარბებ და როცა მის საქმეებს ჩამოვთვლი, რაც ჩვენს სოფელში უხვად აკეთა, ამაში თავადაც დარწმუნდებით.

ალბათ ბევრი ადამიანი დაფიქრებულა თუ რა არის ცხოვრების აზრი? იქნებ ცხოვრების აზრი ისეთი სიკეთის კეთებაშია, რომელსაც არ ითვლიან, რომლის გამოც სამაგიეროს არ ითხოვენ.. იმ წმინდა სიკეთეებში, რომელიც სამყაროს ალამაზებს და აძლიერებს?

სიკეთის კეთება ადამიანის ბუნების ნაწილია, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია.. სიკეთის მარცვალი ყველა ადამიანშია, მთავარი მისი გაღვივებაა..რამხელა ბედნიერებაა, როცა შეგიძლია ოდნავ უკეთესი გახადო ადამიანების ცხოვრება.

სწორედ ამას აკეთებს ჩვენი სოფლის გამორჩეული შვილი ბატონი კობა გიგლემიანი.

ბატონი კობა ბიზნესმენია, წლებია თბილისში ცხოვრობს და მოღვაწობს, ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი. მიუხედავად იმისა, რომ წლებია გადასულია საცხოვრებლად დედაქალაქში,

საკუთარ ფესვებს, მშობლიურ სოფელს და თანასოფლელებს არ ივიწყებს, უშურველად არიგებს სიკეთეს, რაც ცვლის ადამიანების ცხოვრებას.

მინდა მოკლე ჩამონათვალი გავაკეთო იმ საქმეების რაც ყველა მისი თანასოფლელისთვის აშკარაა, ვინაიდან ფარულადაც ბევრ სიკეთეს აკეთებს, რაც ადამიანის თვალთაგან დაფარულია.

თუმცა გაზიარებული სიკეთე შესაძლოა მოტივატორი გახდეს სხვა ადამიანებისთვის, ამიტომაც გიზიარებთ მის საქმეებს, რაც მის კეთილშობილებაზე და მაღალ ადამიანურ ღირებულებებზე მეტყველებს.

ორი ტაძრის აშენება გალავანით, სტადიონის მოწყობა, რომ გაეღრმავებინა თემთა შორის ურთიერთობა და მიეცა მოტივაცია ახალგაზრდებისთვის, რომლებიც წლების განმავლობაში უსწორმასწორო მინდორზე ვარჯიშობდნენ ფეხბურთს. სპორტული ღონისძიების დაწესება ,,ვახო ფანგანის სახელობის საფეხბურთო ტურნირი'', 10000 ლარიანი საპრიზო ფონდით და გარდამავალი თასით.

სოფლის გზის გაფართოება, გაბიონების მოწყობა, გარე განათების დამონტაჟება სოფლის ყველა უბანზე . ბეტლანისა და ტუბერის გზის გაფართოება და სასოფლო სამეურნეო სავარგულების შემოღობვა ბეტლანიზე, ნესგაობანში წმ.ბარბარეს ტაძრის გადახურვა, სოფელში არსებული ტაძრების გარე პერიმეტრზე განათების დამონტაჟება, ნესგაობნისთვის სასმელი წყლის გაყვანილობის შეცვლა ახალი გაყვანილობით. ათობით ადამიანის დასაქმება.

შეუძლებელია არ აღინიშნოს ძალიან ბევრი პირადი ქველმოქმედებაც სოფელში და სოფლის გარეთ. ბატონი კობა გიგლემიანი გახლავთ ჩვენი სოფლის დეპუტატის ბატონ გოჩა გიგლემიანის ძმა, რომელიც ბატონ კობასთან ერთად ჩართულია ზემოთ აღნიშნულ კეთილ საქმეებში, ღმერთმა უმრავლოს ჩვენს კუთხეს და ქვეყანას ასეთი მამულისშვილები.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანია

საქართველოს მთავრობა უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან კამპანიას, რომელიც ყოველწლიურად 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით იმართება

საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით კოორდინირებული და კომპლექსური მიდგომით მუშაობას.

მთავრობის დადგენილებით, მიმდინარე წელს დამტკიცდა 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია, რომელიც ქმნის ერთიან ჩარჩოს ქვეყანაში ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ეროვნული სისტემისა და ინსტიტუციური დემოკრატიის გასაძლიერებლად.

ეროვნული სტრატეგია, სხვა მნიშვნელოვან პრიორიტეტულ მიმართულებებთან ერთად, მოიცავს გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების განმტკიცების საკითხებს და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპებს.

გარდა ამისა, მიმდინარე წელს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანობის და შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებების ეფექტიანად გატარების მიზნით, მთავრობის ადმინისტრაციის კოორდინაციით, შემუშავდა და მთავრობის მიერ დამტკიცდა ცალკე მდგომი „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების“ და „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა“ 2022-2024 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმები.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დაძლევის აუცილებელი წინაპირობაა საზოგადოების ცნობიერების, მგრძნობელობისა და თანამშრომლობის ჩარჩოების გაზრდა.

სწორედ ამიტომ, საქართველოს მთავრობა, პარტნიორებთან ერთად, ყოველწლიურად უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიას.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანია მსოფლიოში 1991 წლიდან იმართება, 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით. კამპანიას მსოფლიოს 187 ქვეყანა და 5000-ზე მეტი ორგანიზაცია აღნიშნავს. კამპანიის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გზით ძალადობის პრევენციის ხელშეწყობა.

ადამიანად ყოფნის არსი

,,თანაგანცდის სილამაზე, ადამიანად ყოფნის არსი"- ეს არის ის საგაკვეთილო თემა, რომელსაც მეორე საჯარო სკოლის მერვე კლასმა კვირეული მიუძღვნა და კომპლექსურ დავალებად წარმოადგინა. ახლა კი მოგიყვებით ამ კვირეულის დასკვნით, დამაგვირგვინებელ აქტივობაზე,რომელმაც ჩვენი დღევანდელი ,ჩვეულებრივი დღე, არაჩვეულებრივად აქცია. დღეს ჩემს უსაყვარლეს მერვეკლასელებთან ერთად კახა ფალიანის სახელობის მესტიის ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრს ვესტუმრე, (დიდი ხანია ვიცი ამ ცენტრის არსებობის შესახებ და სურვილის მიუხედავად, ვერ შევძელი მისვლა). მოვინახულეთ ბენეფიციარები და მცირედი საჩუქარიც მივართვით. საოცარი ემოციებით დავიტვირთეთ, მოვესიყვარულეთ,მოვეფერეთ ერთმანეთს, ვითამაშეთ, ვიცინეთ და ვიმხიარულეთ მათთან ერთად. შემდეგ კი ბედნიერები და მათთან განშორების გამო გულაჩუყებულები დავემშვიდობეთ და შევპირდით,რომ აუცილებლად ვესტუმრებოდით. თურმე, რა მცირედია საჭირო იმისათვის, რომ ადამიანებმა ერთმანეთი გააბედნიერონ, ძალიან მცირედი!..

დიდი მადლობა ცენტრის ხელმძღვანელობას, ქალბატონ ნათია გიგანს, მასწავლებლებს- გვანცას,ნინოს,თამარს! არაჩეულებრივი ბავშვების გულის გამათბობლებს,სიკეთის დესპანებს!

მე და ჩემი ბავშვები კი გამოვუდექით შორ გზას შინისაკენ,ემოციებით და სიხარულით დაღლილებმა იმდენი ვიტიტინეთ, შინ მოსვლა ვერც კი ვიგრძენით!

P.S. სიყვარული აკეთილშობილებს!

გიყვარდეთ ადამიანებო, ერთმანეთი!

თაკო საჯაია

ბავშვთა უფლებები და გენდერული თანასწორობის საკითხები

15 ნოემბერს, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა შეხვედრა მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექციასა და საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლებთან.

შეხვედრას თემაზე ,,ბავშვთა უფლებები და გენდერული თანასწორობის საკითხები“ უძღვებოდნენ სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების დეპარტამენტის წარმომადგენელი ლიკა ღვინჯილია და გენდერის დეპარტამენტის წარმომადგენელი გვანცა ხარატიშვილი.

ბავშვთა უფლებების დეპარტამენტის მიზანია ბავშვის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობა და მათი რეალიზაციის ხელშეწყობა, ასევე ბავშვის უფლებების მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

გენდერის დეპარტამენტი კი ახორციელებს გენდერული თანასწორობის კუთხით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ზედამხედველობას და ამ კუთხით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას.

მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექცია და მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო მადლობას უხდის სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებებისა და გენდერის დეპარტამენტის წარმომადგენლებს საინტერესო შეხვედრისათვის

ასოციაცია ,,სვანური ნარჩვი“

2022 წლის 12-13 ნოემბერს, ასოციაციის „სვანური ნარჩვი“ წევრები მონაწილეობას იღებდნენ გამოფენა-გაყიდვაში, რომელიც ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“, გუდვილის და „საერთაშორისო კულტურის სივრცის“ მხარდაჭერით ჩატარდა. გამოფენაზე, მეწარმე ქალებს წარმოდგენილი ჰქონდათ სვანური ნარჩვი,რომელიც დამზადებულია ალპური ნედლი რძისგან სვანეთიდან. ნარჩვი ტრადიციული სვანური ყველია,რომელიც მზადდება ხის ყუთებში, უძველესი ტრადიციული ტექნოლლგიით. სვანურ ნარჩვის დამზადების ტექნოლოგიას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს მინიჭებული. პროექტს ახორციელებს ბიომეურნეობის ასოციაცია „ელკანა“ CARE-სა და PMCG პრპექტის“ LEADER მიდგომის დანერგვა მესტიის მუნიციპალიტეტში“ ფინანსური მხარდაჭერით,რომელიც ხორციელდება ENPARD III-ის ფარგლებში

„შემოდგომის გაცილება“

მესტიის მესამე საჯარო სკოლაში (დირექტორი ნათია გოშთელიანი) ჩატარდა ულამაზესი ღონისძიება სახელწოდებით ,,შემოდგომის გაცილება“.

საშემოდგომო ფერებით მორთულ გარემოში მოსწავლეებმა წარმოადგინეს პედაგოგ დოდო მერლანის ლექსების მიხედვით დადგმული სპექტაკლები და დამსწრე საზოგადოების დიდი აპლოდისმენტები დაიმსახურეს

ღონისძიების მეორე, უფრო მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ საქველმოქმედო ნაწილი, რომელიც მოიცავდა აღნიშნული სკოლის მოსწავლეების მიერ შექმნილი ხელნაკეთების, მათ საკუთრებაში არსებული საინტერესო

ნივთების გამოფენა-გაყიდვას. ადგილზე, ქველმოქმედების მიზნით, გაიყიდა ასევე ირმა ჯაჭვლიანის წიგნი ,,დედას დღიურები“.

შემოსული თანხა 1086 ლარი გადაირიცხა ამჟამად სამკურნალოდ თურქეთში მყოფი პატარა ელენე ხერგიანის დასახმარებლად.

გაზეთ ,,ლილეს“ სახელით მადლობას ვუხდით მესამე საჯარო სკოლას, ქველმოქმედებაში მონაწილე ყველა ადამიანს და მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ ელენე ხერგიანს.

პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი"

8 ნოემბერს, პროფესიულ კოლეჯში „თეთნულდი" საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებისთვის სწავლა დაიწყო.

ეს პროგრამებია:

1. ელექტროობა (ლექტორი ნუგზარ ხერგიანი)

სწავლების ხანგრძლივობა 8 თვე

2. კულინარიის ხელოვნება (მუხრან ქარდავა)

სწავლების ხანგრძლივობა 15 თვე

3. სატყეო საქმე (გოჩა ხორგუანი)

სწავლების ხანგრძლივობა 9 თვე

4. სამკერვალო წარმოება (ნანული სიდიანი)

სწავლების ხანგრძლივობა 17 თვე

5. ბუღალტრული აღრიცხვა (ლალი გულედანი)

სწავლის ხანგრძლივობა - 16 თვე

6. სასტუმრო საქმე (ნათია ნაკანი)

სწავლის ხანგრძლივობა- 13 თვე

7. კონდიტერი (ნანა ჯაფარიძე)

სწავლის ხანგრძლივობა 15 თვე

8. ინფორმაციის ტექნოლოგია (თაბუკა ციმინტია)

სწავლის ხანგრძლივობა 11 თვე

9. კომპიუტერული ქსელი და სისტემები- თაბუკა ციმინტია

სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი

10. ხის მხატვრული დამუშავება (გულედანი შალვა)

17 თვე

აღნიშნულ პროგრამებზე ჩარიცხულია მესტიის მუნიციპალიტეტის 120 სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ მათ შორის არიან ასევე სხვა მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელი ახალგაზრდები.

სწავლის დამთავრების შემდეგ სტუდენტებს გადაეცემათ ორენოვანი დიპლომები.

ვულოცავთ სასწავლო წლის დაწყებას კოლეჯის „თეთნულდი" თანამშრომლებსა და სტუდენტებს და ვუსურვებთ წარმატებულ, ნაყოფიერ სასწავლო წელს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი მუნიციპალიტეტების ღირსებსა და ანგარიშვალდებულებას ავლენს

„სამეგრელოს ხმა" ახორციელებს პროექტს CTC- თან (კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი) ერთად, მესტიისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებში.

პროექტის მიზანია მესტიისა და მარტვილის თვითმმართველობის ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის სტანდარტით გათვალისწინებული

მოთხოვნების შესაბამისად.

მეტი გამჭვირვალობა!

მეტი ინფორმირებულობა!

მეტი ჩართულობა!

მისი მიზანია საქართველოში გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება, თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა, კორუფციის რისკების შემცირება და მუნიციპალიტეტებს შორის წარმატებული გამოცდილების გაზიარება

საქართველოს დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025 (მთავრობის დადგენილება 31/12/2019)-ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორად დასახულია სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის საერთო (საშუალო) მაჩვენებლის სასტარტო 28%-დან მინიმუმ 55% -მდე გაზრდა CTC-ს(კონსულტაციებისა და ტრენინგის ცენტრი) მიერ გამოცხადებულ კონკურსში „რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციები მუნიციპალური გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების მხარდასაჭერად" სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში სამოქალაქო მოძრაობა „სამეგრელოს ხმა" შეირჩა



თვითმმართველობების ინდექსის გაუმჯობესებისა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერის მიზნით „სამეგრელოს ხმა"-მ მესტიის მუნიციპალიტეტში ჩაატარა შეხვედრები

მისასალმებელია მესტიის მუნიციპალიტეტის მერის ბ-ნ კაპიტონ ჟორჟოლიანის და საკრებულოს თავმჯდომარის ბ-ნ მაიზერ ჯაფარიძის საფუძვლიანი მზაობა პროექტის ერთობლივი ეფექტიანი წარმართვისა და შედეგიანად განხორციელებისთვის

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი 1.

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ

ირმა ჯაჭვლიანი, ნინო ნაკანი

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შპს. „გამომცემლობა კოლორში"

(ტირაჟი - 600 ცალი)

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45
ირმა ჯაჭვლიანი
ელ. ფოსტა:
Irma_ushba@yahoo. com